პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 73 (3557) 14 1968 წ. აპრილი, კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

დღეს სოხუმში გაიმართება მოტოკროსში სსრ კავშირის პირადი პირველობის [illegible] როგორც ცნობილია, წინა ორ ეტაპზე (სუმგაითსა [illegible]) დაწინაურდნენ ცნობილი სპორტსმენები, მოსკოველი ვ. არბეკოვი (250-ანებში) და რიგელი გ. დრაუგსი (500-ანებში). თუ სოხუმშიც I ადგილებზე გავიდნენ, ოქროს მედლებსა და მსოფლიო ჩემპიონატის საგზურს სწორედ ეს სპორტსმენები გაინაღდებენ.

ამ სურათზე, რომელიც თბილისში გამართული შეჯიბრების დროსაა გადაღებული, თქვენ ხედავთ სპორტსმენებს ერთ-ერთი ურთულესი აღმართის დაძლევისას.

ფოტო ბ. ქვათაძისა.



სსრ კავშირის ოლიმპიურ კომიტეტში

## შეიცვალოს უკანონო გადაწყვეტილება

12 აპრილს შედგა სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც განიხილა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის რიგგარეშე სხდომასთან (ჩატარდება 20-21 აპრილს) დაკავშირებული საკითხები. ამ სხდომის მოწვევა შედეგია მრავალი ეროვნული სპორტული ორგანიზაციის, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრების და მსოფლიო სპორტული საზოგადოებრიობის მტკიცე პროტესტისა, რომლებიც მოითხოვენ გადაისინჯოს უკანონო გადაწყვეტილება მექსიკის ოლიმპიურ თამაშებში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული ორგანიზაციების მონაწილეობის თაობაზე.

პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მოქმედება არ შეესაბამება ოლიმპიური ასპარეზობის პრინციპებსა და წესებს. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ოლიმპიური კომიტეტი არ იცავს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წესდების მთავარ დებულებას, რომელიც კრძალავს რასობრივ დისკრიმინაციას სპორტში. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ფერადკანიან სპორტსმენებს არა აქვთ ის უფლებები, რაც ევროპელებს. „შერეული" შეჯიბრებების ჩატარება აკრძალულია, სპორტული კლუბებისა და ორგანიზაციების წევრობის საკითხი რასობრივი პრინციპების მიხედვით წყდება. მიუხედავად ყოველივე ამისა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გრენობლში ჩატარებულმა სესიამ რასისტებს მეხიკოს გზა გაუხსნა, რამაც საერთაშორისო ოლიმპიურ მოძრაობაში მწვავე კრიზისი გამოიწვია.

სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტი მტკიცედ მოითხოვს, რომ დაუყოვნებლივ შეიცვალოს უკანონო გადაწყვეტილება, დაცულ იქნას ოლიმპიური თამაშების წესები.

საბჭოთა ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდიუმი გაეცნო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ე. ბრენდეჯის წერილს კომიტეტის წევრების, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტებისა და საერთაშორისო სპორტული ფედერაციებისადმი.

ამ წერილიდან აშკარაა, რომ ბრენდეჯმა რასისტების დამცველის სამარცხვინო როლი იკისრა. იგი ცდილობს თვალი აუხვიოს ეროვნულ სპორტულ ორგანიზაციებს და საერთაშორისო ფედერაციების ხელმძღვანელებს, ფაქტების დამახინჯებით დაამტკიცოს დაუმტკიცებელი: თითქოს სპორტულ სამყაროში ფართო მხარდაჭერა ჰპოვა გადაწყვეტილებამ ოლიმპიადაში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მონაწილეობის შესახებ.

ბ-ნი ბრენდეჯი იშველიებს ლოზუნგს, რომ „პოლიტიკა სპორტს არ ეხება" ამავე დროს იქ, სადაც ეს იმპერიალისტური წრეებისთვისაა ხელსაყრელი, ბრენდეჯი არ ერიდება პირდაპირ ჩარევას ზოგიერთი ქვეყნის შინაურ საქმეებში. იგი აშკარა წინააღმდეგია, რომ გდრ-ისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციები ოლიმპიურ ასპარეზობაში თავიანთი ქვეყნების სახელით, თავიანთი ეროვნული ალმების ქვეშ გამოვიდნენ. განა ეს პოლიტიკა არ არის?

ბ-ნ ბრენდეჯს აღიზიანებს საბჭოთა სპორტული ორგანიზაციების მტკიცე პოზიცია რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამიტომ იგი აშკარა შეურაცხყოფას აყენებს საბჭოთა სპორტსმენებსა და მთელ საბჭოთა ხალხს. სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდიუმი კატეგორიულად უარყოფს ამგვარ მონაჭორს, რაც კიდევ ერთხელააშკარავებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ჭეშმარიტ პოლიტიკურ შეხედულებებს.

სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის მომავალი სხდომისგან მტკიცედ მოითხოვს, რომ შეიცვალოს უკანონო გადაწყვეტილება.

საქმეში მოვუთხროთ

## ზანგი სპორტსმენები ერთიანდებიან

ნიუ-იორკი, 12 აპრილი. მოქალაქეობრივ უფლებათა დაცვის ახლახან შექმნილმა ოლიმპიურმა კომიტეტმა გამოაცხადა, რომ ამ ზაფხულს სამ დიდ დემონსტრაციას მოაწყობს იმ ზანგ სპორტსმენთა მხარდასაჭერად, რომლებიც ბოიკოტს უცხადებენ მეხიკოს ოლიმპიადას. ფრანს-პრესის სააგენტოს ცნობით, ეს დემონსტრაციები გაიმართება დიდი მძლეოსნური შეჯიბრებების დროს სან-ფრანცისკოში, მოდესტოში და ლოს-ანჯელოსში.

ბოიკოტის ერთ-ერთმა თაოსანმა, პროფესორმა ჰ. ედვარდსმა ზანგ სპორტსმენებს მოუწოდა, რომ ამ შეჯიბრებებზე აჩვენონ თავიანთი საუკეთესო სპორტული მიღწევები, მაგრამ ამავე დროს უარი თქვან აშშ-ს ოლიმპიური გუნდის სახელით გამოსვლაზე. მან მოიყვანა რასისტების ხელით მოკლული ზანგთა ლიდერის მარტინ ლუთერ კინგის სიტყვები, ნათქვამი 15 დეკემბერს ნიუ-იორკში: „ჩვენს ქვეყანაში ზანგი ხალხის თავისუფლების საქმე ოლიმპიადის ბოიკოტს მოითხოვს".

ამასთან, პროფესორმა ედვარდსმა გამოაცხადა ზანგ სპორტსმენთა — რასიზმისა და სოციალური უსამართლობის მოსპობისთვის მებრძოლთა ეროვნული ფედერაციის შექმნა.

## ისევ დოპინგი!

მონტევიდეო, 10 აპრილი. ველოსპორტში დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლა სულ უფრო ძლიერდება. და არა მარტო მსოფლიო ჩემპიონატებში. სამშაბათს დაწყებული ურუგვაის ველოტურის პირველი ეტაპის გამარჯვებული ვ. გადეა, აგრეთვე, II და III ადგილებზე გასული მრბოლელები ე. ნუნეცი და ფ. პერესი დოპინგის ხმარებაში დაიჭირეს და შეჯიბრებიდან მოხსნეს.

## ინფორმაცია საათი...

◆ **მონტე-კარლო,** 13 აპრილი. აქ მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის IX ტურში გაიმარჯვეს ბ. ლარსენმა და მ. ბოტვინიკმა. პირველმა 34-ე სვლაზე მოუგო ვ. ულმანს (გდრ), მეორემ მე-40 სვლაზე დაამარცხა ფრანგი ოსტატი ს. ცინზერი. ამერიკელმა რ. ბირმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ვ. სმისლოვთან, ხოლო ჩეხოსლოვაკიელმა ვ. ჰორტმა მოუგო უნგრელ დიდოსტატ ლ. პორტიშს. 9 ტურის შემდეგ ლარსენს 7 ქულა აქვს, ბოტვინიკს 6,5, ბირნს — 6, ჰორტსა და სმისლოვს — 5,5-5,5.

◆ **ტოკიო, 13 აპრილი.** აქ სტუმრად მყოფმა სსრ კავშირის ფრენბურთელ ქალთა და ვაჟთა ნაკრებმა გუნდებმა მორიგი საერთაშორისო მატჩები გამართეს ამ ქვეყნის სპორტსმენებთან. ვაჟებმა მოუგეს ქვეყნის ნაკრებს — 3:1 (15:12, 4:15, 15:10, 15:12). ჩვენი ქალები ეთამაშნენ „კანებოს" კლუბის წარმომადგენლებს და მათაც იზეიმეს გამარჯვება — 3:1 (15:10, 7:15, 15:1, 15:5). ჯერჯერობით ჩვენმა ვაჟებმა მოიგეს 4, წააგეს 2 შეხვედრა. ქალთა გუნდის შედეგია: 3 მოგება, 2 წაგება.

## ოლიმპიურ ტალღაზე

**დამთავრდა** სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ფეხბურთელთა ოლიმპიური გუნდების შესარჩევი შეჯიბრების პირველი ეტაპი. ბრძოლას მეხიკოს საგზურისთვის გააგრძელებენ ბრაზილიის, პარაგვაის, ურუგვაისა და კოლუმბიის გუნდები, რომლებმაც პირველი ადგილები დაიკავეს შესარჩევ ჯგუფებში.

I და II ადგილებზე გასული გუნდები მექსიკაში გამგზავრების უფლებას მიიღებენ.

## ჩემპიონია „დინამო"

**მოსკოვი, 13 აპრილი** (ტელეფონით). გუშინ გაიმართა ბოლო ტური. სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის გუნდმა მორიგი ორი ქულა თბილისის „დინამოს" აართვა (4:1). პირველ ორ პერიოდში ფლოტელებმა ძალიან დიდი უპირატესობა მოიპოვეს და 4 „მშრალი" გოლიც გაიტანეს, თბილისელებმა კი მესამე პერიოდიდან შეძლეს თამაშის ერთგვარად გათანაბრება, რასაც საბოლოოდ მხოლოდ ერთი საპასუხო გოლი მოჰყვა. მეორე ლიდერმა — მოსკოვის „დინამომ" დაამარცხა ლენინგრადის „ბალტიკა" — 6:3. ამგვარად, ლიდერებს კვლავ თანაბარი ქულები აქვთ (31-31) და I ადგილის ბედი მათ დღევანდელ დამატებით მატჩში უნდა გადაწყდეს.

### გუშინ...

შედგა გადამწყვეტი შეხვედრა მოსკოვის „დინამოსა" და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის წყალბურთელებს შორის. გაიმარჯვა „დინამომ" — 5:3 და მოიპოვა ჩემპიონის სახელი.

სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში

### გათამაშების საბოლოო ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცენტრ. საწყლ. სპორტკლუბი | 18 | 15 | 1 | 2 | 71—37 | 31 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 18 | 14 | 3 | 1 | 80—44 | 31 |
| მოსკოვის უნივერსიტეტი | 18 | 9 | 5 | 4 | 70—52 | 23 |
| „ბალტიკა" (ლენინგრადი) | 18 | 7 | 5 | 6 | 50—58 | 19 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 18 | 7 | 4 | 7 | 47—46 | 18 |
| „დინამო" (თბილისი) | 18 | 3 | 11 | 4 | 59—61 | 17 |
| „დინამო" (კიევი) | 18 | 6 | 5 | 7 | 48—52 | 17 |
| „დინამო" (ლვოვი) | 18 | 5 | 3 | 10 | 58—71 | 13 |
| კწფ (ბაქო) | 18 | 2 | 6 | 10 | 59—76 | 10 |
| „სპარტაკი" (ვოლგოგრადი) | 18 | 0 | 1 | 17 | 39—84 | 1 |

ნარკვევები საინტერესო ადამიანებზე

# ლეგენდად ქცეული კაცი

მაღალმთიანი მეტეოსადგურის თანამშრომლებს ტკბილი ძილი უჩვეულო ხმაურმა დაუფრთხო. რაც დრო გადიოდა, ამ ადგილებისთვის შეუფერებელი გუგუნი სულ უფრო ძლიერდებოდა. ისეთი შთაბეჭდილება იყო, თითქოს იალბუზის ყინულის კედლები ადგილიდან დაიძრნენ.

თბილი ლოგინის მიტოვება იოლი როდი იყო, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ თავისი გაიტანა — გარეთ ოცგრადუსიან ყინვაში გაცვივდნენ. შორს ძლივს ჩანდა შავი ფიგურა, რომელიც ხმაურით მიიწევდა წინ.

— თავზეხელაღებულია ვიღაც, — თქვა ერთმა.

— წერას აუტანია, — დაუმატა მეორემ.

უცნაური ფიგურა კი გულმოდგინედ მიიწევდა წინ, მიიწევდა იალბუზის ყველაზე მაღალი წვერტილისკენ.

უეცრად გუგუნი შეწყდა. სადგურის თანამშრომლებმა შეშფოთებით გადახედეს ერთმანეთს. ეგონათ, რომ ყველაფერი დამთავრდა, რომელიმე ყინულოვან ნაპრალში ბინა დაიდო კიდევ ერთმა უშიშარმა ადამიანმა.

როცა მზე ამობრწყინდა და მეტეოსადგურის თანამშრომლები თავიანთ საქმეს შეუდგნენ, მათ სამფლობელოში უცხო კაცი შემოიჭრა და დასჭექა:

— გამარჯობათ! გავითოშე, იქნებ ცეცხლთან გამათბოთ!

დამხვდურებმა გაოცებით გადახედეს მოსულს, თავიდან ფეხებამდე შეათვალიერეს.

— ეს თქვენ იყავით, იალბუზისკენ მოტოციკლით რომ მისეირნობდით? გვეგონა...

— დავიღუპე, არა! — გაიცინა მოსულმა.

— სადაური და რა გვარისა ბრძანდებით? — თითქმის ერთხმად იკითხეს მასპინძლებმა...

* * *

— ალექსი ბერბერაშვილი, სტარტზე! — გაისმა მსაჯის განკარგულება და ჭაბუკი მოტოციკლისტი შეჯიბრების სხვა მონაწილეებს შეუერთდა.

ეს იყო დიდი ხნის წინათ. ბერბერაშვილი ძლივს იგონებს:

— როდის დავიწყე, ფეხი როდის ავიდგი? საკუთარ ბლოკნოტში ჩანიშნული ციფრები რომ შევაჯამო, მგონი, მილიონ კილომეტრსაც გადააჭარბოს. მახსოვს, მახაჩყალაში ერთ-ერთი შეჯიბრების შემდეგ რუსეთის ჩემპიონობა რომ გავინაღდე, თეთრწვერა დაღესტნელი მოვიდა და ხელში თავისი ცხენის აღვირი შემაჩეჩა.

— მოტოციკლს კარგად ფლობ, მაგრამ ქართველები მაინც მხედრებად არიან დაბადებული!

ცხენს მყისვე ზურგზე მოვევლე. მალე მოხუცმა მხედარმა მკერდში სიხარულით ჩამიკრა.

პირველი დიდი გამარჯვება ალექსიმ მოტოსპორტში კი არა, დიდ ავტორალიში იზეიმა, როცა თავის ძმასთან ვლადიმერთან ერთად საქვეყნოდ აღიარებულ მძღოლებს აჯობა და ვერცხლის დიდი მედალი მოიხვეჭა. სპორტის ამ სახეობის მრავალ საერთაშორისო, საკავშირო მასშტაბის შეჯიბრებაში გამარჯვება... ჯილდოები, ჯილდოები...

მოტოსპორტში?

ერთ მშვენიერ დღეს გროზნოს ერთ-ერთ მოედანზე ხის სახელდახელო შენობა აგეს. ქალაქში გაიკრა აფიშები: „ვერტიკალურ კედელზე რბოლა. არტისტი მიხეილ არევსი". ალექსი დაინტერესა სანახაობამ, შემდეგ ერთიორჯერ თვითონაც სცადა, სცადა და სახელმოხვეჭილი სპორტსმენი... ცირკის მსახიობი გახდა!

ახალ სარბიელზეც დიდი წარმატება, პრესის ქება-დიდება, მაგრამ ალექსი ბერბერაშვილს ცირკის ვერტიკალური კედელი უკვე აღარ აკმაყოფილებდა...

— აუცილებლად უნდა დავიპყროთ, — ხშირად იტყოდა ხოლმე და გროზნოს სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელები, სადაც ის მუშაობდა, გაკვირვებით გადახედავდნენ ერთმანეთს:

— რა უნდა დავიპყროთ, მასწავლებელო?

— ნიუ-იორკი და ვაშინგტონი.

ბავშვები თვალებს დააჭყეტდნენ.

— დიახ, ნიუ-იორკი და ვაშინგტონი, — განაგრძობდა ბერბერაშვილი.— იქ ეწყობა საერთაშორისო გამოფენები, სადაც თქვენი ხელით შექმნილი მინიატურული მოტოციკლიც უნდა გაიგზავნოს.

და მართლაც, მალე ამ ქალაქების მკვიდრნი გაკვირვებით ათვალიერებდნენ ბერბერაშვილის აღსაზრდელების ნაკეთობას. პატარა მოტოციკლმა გამოფენის ორგანიზატორთა მაღალი შეფასება დაიმსახურა, ალექსი კი კომკავშირის საკავშირო ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით დააჯილდოვეს.

არც ეს იკმარა. ღამეებს ათენებდა, თავს დასტრიალებდა მოტოციკლს, რაღაცას ეძებდა, ცდიდა.

... მსოფლიო შეძრა ნალჩიკიდან წამოსულმა დეპეშამ: „იალბუზი მოტოციკლით დაიპყრეს!"

საბჭოთა და უცხოეთის პრესის ფურცლები აჭრელდა სენსაციის მაუწყებელი სათაურებით:

„მოტოციკლით ევროპის უმაღლეს მწვერვალზე".

„ლეგენდარული ბერბერაშვილი".

„იალბუზზე დაუჯერებელი რამ მოხდა".

* * *

სწორედ ეს ბერბერაშვილი ეწვია მაღალმთიანი მეტეოსადგურის მუშაკებს იმ მზიან დილას.

— ხშირად მაფიქრებდა, მთამსვლელები დიდი სიმძიმით დატვირთული რომ აღიოდნენ მწვერვალებზე. ვფიქრობდი, ხომ შეიძლება მათი ტვირთი „მექანიზებულმა ძალამ" აიტანოს მეთქი. ამის თაობაზე მაღალმთიანი გეოფიზიკური ინსტიტუტის დირექტორ პროფესორ გ. სულაქველიძეს ვესაუბრე. თურმე წინათაც ბევრს ჰქონდა მიზნად იალბუზის დაპყრობა ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობით.





ალექსი სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელთან რ. ზალიხანოვთან ერთად ორ წელიწადს ემზადებოდა იალბუზზე მოტოციკლით ასვლისთვის. ამდენი ხანი დასჭირდა საგანგებო მოტოციკლის შექმნას.

... დაიწყო იერიში. რაც დრო გადიოდა, ასვლა მით უფრო ძნელი იყო. ნისლი იწვა და წინ არაფერი ჩანდა. ვიფიქრე, კიდევ კარგი მიშა ხერგიანი არ არის ჩემთან, თორემ მაშინვე მეტყოდა: „ღრუბლიან ამინდში ასვლა არ შეიძლებაო. მოდი და ნუ დაუჯერებ მთამსვლელს, რომელმაც საქვეყნოდ გაითქვა სახელი.

განსაკუთრებით გაჭირდა უკანასკნელი 100 მეტრის გავლა. უეცრად მანქანამ მარჯვნივ ისკუპა. ერთ მეტრზე პირდაღებული ნაპრალი იყო. ღრუბლები კვლავ არ მაძლევდნენ წინსვლის საშუალებას.

გათენებისას მოტოციკლმა მთელი სისწრაფით აიღო უკანასკნელი ათი მეტრი და მწვერვალზე გაქვავდა. მომეჩვენა, რომ ცამ საზარლად დაიქუხა. ეს იყო მთების ქედ. 1966 წლის 18 აგვისტოს იალბუზზე მთამსვლელობის ისტორიაში პირველი მოტოციკლი ავიდა.

მეგობრებთან შეხვედრები, ხვევნა-კოცნა, მისალოცი დეპეშები, ინტერვიუ, ინტერვიუ...

— თქვენ მეკითხებით, რა იქნება შემდეგ? არა, ეს საიდუმლო არ არის. ვფიქრობ უფრო მძლავრი მოტოციკლის შექმნას, რომელიც სხვადასხვა მწვერვალზე საჭირო ტვირთის ატანას შეძლებს. შეიძლება დადგეს დრო, რომ მთამსვლელებმა უტვირთოდ შეუტიონ სიმაღლეებს.

... აი, ყოველივე ის, რამაც ალექსი ბერბერაშვილი ლეგენდად აქცია.

ზ. ჯაფარიძე.

* * *

სურათზე: ის შარადმოსაგონარი დღე. პირველი მოტოციკლისტი იალბუზზე. ზემოთ მარჯვნივ — ამ უჩვეულო გმირობის ავტორი ა. ბერბერაშვილი.

# ვორონეჟელი მასწავლებელი და მისი მოწაფე

იგი მოკლე, ნერვიული ნაფაზებით ეწეოდა, თვალები უბრწყინავდა და სახის მკაცრ ნაკვთებს სიხარული ურბილებდა. ეს ლუჟნიკში ხდებოდა, სპორტის სასახლის კულისებში, სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის ფინალური ასპარეზობის დამთავრებისთანავე. ნორჩმა სპორტსმენმა ლიუბა ბურდამ მრავალჭიდში მოპოვებულ ბრინჯაოს მედალს ის-ის იყო კიდევ ორი „ვერცხლი" დაუმატა: თავისუფალ ვარჯიშში და ორძელზე წარმატებისთვის. ეს ნიშნავდა, რომ დაიწყო მწვრთნელის მეორე ცხოვრება დიდ სპორტში.

მახსოვს ჩვენი საუბარი იური შტუკმანთან ვორონეჟში 1965 წლის ზაფხულში. იქ ჭაბუკთა შეჯიბრებები ტარდებოდა. მე მისი ნორჩი აღსაზრდელები შევაქე, მან კი პასუხად დაქანცულმა ჩაიქნია ხელი.

— 48 წლისა ვარ, — მითხრა შტუკმანმა, — კიდევ შემიძლია რაღაც გავაკეთო, მაგრამ მეორე ლიუხინა ჯერ არ მყავს.

ეს ის დრო იყო, როცა ჩვენს ქალთა ტანვარჯიშში გამოჩნდნენ „ბაბთიანი გოგონები" კუჩინსკაიასი და პეტრიკის მეთაურობით. მათ გაბედულობა და თავბრუდამხვევი ტრიუკები შემოიტანეს და ერთბაშად გამოდევნეს ნაკრებიდან ძველი ოლიმპიელები.

— ეს საზღაურია, — თქვა მაშინ შტუკმანმა. — ჩვენ ძალიან დიდხანს ვტკეპნიდით ერთ ადგილს, ამაში მეც ვარ დამნაშავე. ერთხელ დავემორჩილე დინებას, ჩემს პრინციპებზე უარი ვთქვი და აი, სამაგიეროც მივიღე.

დიდ სპორტში შტუკმანი პირველად ორ თავის მოწაფესთან ერთად შევიდა. მათი სახელები კარგადაა ცნობილი ტანვარჯიშის სამყაროში: თ. ლიუხინა და ი. პერვუშინა. ამ ტანმოვარჯიშეებს ბედმა უმუხთლა — ისინი ტრავმის გამო ჩამოშორდნენ სპორტს, როცა ჯერ კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლოთ. აი, სწორედ მაშინ უღალატა მწვრთნელმა თავის პრინციპებს: ახლის ძიებას, შორსმჭვრეტელობას. მწვრთნელმა თავს შეჩერების ნება მისცა და მისმა ახალგაზრდა მოწაფეებმა, რომლებსაც ლიუხინა და პერვუშინა უნდა შეეცვალათ, ვერ შეძლეს საკუთარი სიტყვის თქმა — არ ჰქონდათ იგი.

ბუნებას იგი მაგარი ჯანით არ დაუჯილდოებია, ნაკრებში შვიდი წლის მანძილზე მუშაობა კი მეტისმეტად დამქანცველი შრომაა. და მაინც, ხუთი ათეული წლის მიწურულს შტუკმანმა ყველაფერი თავიდან დაიწყო. მაშინ, ვორონეჟში რომ ვსაუბრობდით, იგი მეუბნებოდა:

— დღეს ჩვენი ეტალონი ჩასლავსკაა. როგორი იქნება იგი მეხიკოს ოლიმპიადაზე? ეს უნდა განვსჭვრიტოთ და სწორედ ამ ხვალინდელი მიზნით მოვამზადოთ ახალგაზრდა ტანმოვარჯიშე ქალები. მე კარგად მახსოვს ჩასლავსკას გზის დასაწყისი. რა თავისუფალი ვარჯიშები ჰქონდა! ტემპერამენტიანი, რთული, აკრობატიკით გამდიდრებული, ემოციური. ორძელზე დიდხანს უჭირდა, მაგრამ მისმა მწვრთნელმა პროროკმა ამ იარაღზეც იპოვა ელემენტები, რომელთა მეშვეობითაც სწორედ ჩასლავსკას ინდივიდუალობა გადაიშალა.

შტუკმანი გაჩუმდა, რაღაცაზე ჩაფიქრდა და უცებ გულისტკივილით თქვა:

— ლირიკა... ათლეტიზმი — აი, რა არის საჭირო! ჩასლავსკასავით მძლავრი ხტომა!

იმ დროს შტუკმანთან რომ ვსაუბრობდით, 1965 წლის ზაფხულში, ვერა ჩასლავსკას ერთი გამარჯვება ჰქონდა მარაგში — ტოკიოს ოლიმპიადაში მოპოვებული გამარჯვება. ლიუბა ბურდა მაშინ ტანვარჯიშულ სექციაში მეცადინეობდა, მაგრამ შტუკმანმა არაფერი იცოდა ამის შესახებ. ბურდა მას მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ მიუყვანა მისმა ყოფილმა მოწაფემ და ლიუბას მაშინდელმა მწვრთნელმა. ლიუბა 12 წლისა იყო. მეორე ლიუხინა იპოვნეს.

დღეს რომ იმ დარბაზში შეხვიდეთ, სადაც შტუკმანი მუშაობს, ნამდვილი ჭიანჭველების ბუდე გეგონებათ. დარბაზი გოგონებითაა სავსე, ხმაური და ჟივილ-ხივილი დგას. მაგრამ როგორც კი მიიხედ-მოიხედავთ, ზოგიერთ რამეში გაერკვევით და, ბუნებრივია, გაგიკვირდებათ. გაგიკვირდებათ იმიტომ, რომ ამ „ჭიანჭველების ბუდეში" სრული წესრიგი და საქმიანი ვითარებაა. მუშაობს შტუკმანი, მუშაობენ მისი თანაშემწეები, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი ისაა, რომ ყოველ უმცროს ტანმოვარჯიშე გოგონას ჰყავს მასზე უფროსი შეფი, ამ უკანასკნელს კი თავის მხრივ მისი თანატოლი უწევს შეფობას და ასე, ყველა გულმოდგინედ ეხმარება ერთმანეთს. აი, ეს არის შტუკმანის სკოლა, ახალგაზრდა ოსტატთა სკოლა, რომელზეც ლეგენდებს ჰყვებიან. მწვრთნელის ყველა საიდუმლო აქ, ამ დარბაზშია. ხოლო თუ რაიმე ვერ გაიგეთ, თავად მწვრთნელი დაგეხმარებათ. იგი მხოლოდ გარეგნულადაა მკაცრი, თორემ ისე გულღია, ალერსიანი კაცია და არც სიტყვაძუნწი ეთქმის.

სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის შემდეგ შტუკმანს ვკითხე, როგორ აფასებთ ბურდას წარმატებას, ჯერ თოთხმეტი წლისაა მაინც, ადრე ხომ არ არის-მეთქი? მან მიპასუხა:

— ბურდა იშვიათი გამონაკლისია. ჩვენს სკოლაშიც კი, სადაც მხოლოდ განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვები მეცადინეობენ, იგი ერთადერთია. მასთან განსხვავებულად ვმუშაობ, მას პირდაპირ დიდი ტანვარჯიშისთვის ვამზადებდი. ამიტომ ლიუბას თითქმის არ მიუღია მონაწილეობა შეჯიბრებებში. სიტყვამ მოიტანა და საერთოდ ეს ჩემი წესია: რაც შეიძლება ნაკლები შეჯიბრება! სიახლის ასათვისებლად მხოლოდ მაშინ გვრჩება დრო. ლიუბას მომზადება ხალხთა სპარტაკიადისთვის მიზნად არ დამისახავს. უბრალოდ, ასე მოხდა.

— მაგრამ დიდ დატვირთვას ხომ ვერსად გაექცევი, — შევნიშნე მე. — უამისოდ შეუძლებელია მაღალ ოსტატობას მიაღწიო, მით უმეტეს, მოკლე ხანში.

— ჭკვიანი მთას შემოუვლის, — მიპასუხა შტუკმანმა. — მეცნიერებს ჯერ არ მოუციათ ჩვენთვის რეცეპტები, თავად უნდა ვეძიოთ. მე არ ვემხრობი „ამოწურვის" სისტემას, წინააღმდეგი ვარ რაოდენობითი მეთოდისა: მოდი, გავაკეთოთ ელემენტი ხუთასჯერ, მოდი, ათასჯერ. არა! ჩვენს სკოლაში ტანმოვარჯიშე გოგონები ბევრს ვარჯიშობენ, მაგრამ სულ სხვა პრინციპით, ზუსტად განსაზღვრული სქემის გარეშე: ისინი თამაშობენ. საკვირაო ციკლში ჩვენ გვაქვს ორი დღე, რომელთაც „ფანტაზიის დღეებს" ვუწოდებთ. ტანმოვარჯიშეები თვითონ იგონებენ ახალ მოძრაობებს. ზოგჯერ ვამოწმებთ, უფრო ხშირად კი ვეხედვართ და ვლაპარაკობთ. ეს, ასე ვთქვათ, შემოქმედებითი განმუხტვაა.

ამას შეიძლება დავუმატოთ, რომ სპარტაკიადის ოთხდღიანი ბრძოლის მიწურულსაც ლიუბა მშვენივრად გამოიყურებოდა. იგი საერთოდ მეტად ცოცხალი და მხიარული ბავშვია. მიუხედავად ასაკისა, მის შესრულებაში ნათლად მჟღავნდება საკუთარი ხელწერა. შტუკმანი ამბობს, რომ ეს ხასიათის გამო ხდება: ლიუბა ყოველ ელემენტს თავისებურად აღიქვამს.

ლიუბა და მისი მწვრთნელი ბოლოს იანვარში ვნახე. მათ საქმე ჰქონდათ მოსკოვში. ლიუბა შესამჩნევად გაზრდილა, მოხდენილი გოგონაა. შტუკმანს ვკითხე, როგორ არის მეთქი საქმე. მან მხრები აიჩეჩა, გაიცინა: „ეშმაკმა იცის! ვასწავლით, ვემზადებით... მაისში ჩვენი ქვეყნის თასის გათამაშებაა. იქ ყველაფერი ნათელი გახდება, ახლა კი რა გითხრათ!

მაისში პირველად შეარჩევენ ტანმოვარჯიშეებს ოლიმპიური გუნდებისთვის. შტუკმანისა და მისი მოწაფისთვის სანუკვარი ოცნებების ახდენის დრო დადგა.

ა. კულაკოვი.
სპორტის ოსტატი.



* * *

სურათზე: ლ. ბურდა ვარჯიშის შემდეგ.

# აზრიანი, სწრაფი ფეხბურთისთვის

საზღვარგარეთულ ფეხბურთში ამჟამად წარმოებს სიახლეთა სისტემატური ძიება, ხდება ძალთა ხელახალი გადაფასება და სულ უფრო ხშირად ვაწყდებით მოულოდნელობებს, სიურპრიზებს.

გავიხსენოთ, რამდენი დრო და ძალა დაჭირდა ე. წ. ბრაზილიურ სისტემაზე გადასვლას. იყო დრო, როცა მეტწილად გარემარბებით თამაშობდნენ და ჩვენც გულმოდგინედ ვაკეთებდით იმასვე. შემდეგ, სულ ახლახან, ინგლისელები უგარემარბებოდ გავიდნენ ფონს მსოფლიო ჩემპიონატში და ჩვენი მოწინავე მწვრთნელებიც უმალვე შეუდგნენ ასეთი თამაშის პროპაგანდას.

არ შევუდგებით ამ თუ სხვა ტაქტიკური ვარიანტების ავ-კარგიანობის გარჩევას და პირდაპირ ვიტყვით, რომ მოვლენათა ასე ზურგში ჩანჩალი ვერ მოუტანს ჩვენს ფეხბურთს სარგებელს, ფეხბურთში იმარჯვებს ახალი, მოულოდნელი, რის წინააღმდეგაც სხვანი ჯერ არ არიან მომზადებული.

და აი, ახლა, როცა ჩვენ გავთავისუფლდით რეგლამენტირებული ფეხბურთისგან და გადავედით თანამედროვე, შემოქმედებით ფეხბურთზე, დროა ხელთ ავიღოთ ინიციატივა, მოვუკლოთ მიმბაძველობას და თავად გამოვიდეთ ნოვატორთა როლში. დადგა ჩვენი დრო ვიპოვოთ ახალი, ორიგინალური და გავაკვირვოთ მოწინააღმდეგეები ჩვენი სიახლეებით. ჩვენს მწვრთნელებსა და სპეციალისტებს შეუძლიათ იტვირთონ ასეთი ამოცანა, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ საჭიროა თვალი ავარიდოთ იმას, რაც საზღვარგარეთის ფეხბურთში ხდება, არ შევისწავლოთ მისი განვითარების ტენდენციები. უამისოდ შეუძლებელი იქნება უცხოელებთან შეხვედრებში წარმატებაზე ფიქრი.

ახლა მსოფლიოს საუკეთესო გუნდებში ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, როცა მათი ტექნიკური და ფიზიკური მომზადების დონე იმდენად გათანაბრდა, რომ შეუძლებელი გახდა წარმატების მოპოვება მხოლოდ ამ კომპონენტების ხარჯზე. ეს ბუნებრივი პროცესია და უნდა მოველოდეთ ბრძოლის ამ უმნიშვნელოვანეს საშუალებათა შემდგომ გათანაბრებას. წამოიჭრება კითხვა: ვინ უნდა გაიმარჯვოს ამ პირობებში?

წინ იქნება ის გუნდი, რომელიც თავის მეტოქეებზე ჭკვიანი აღმოჩნდება.

ასე მოხდა ბოლო მსოფლიო ჩემპიონატში, სადაც I ადგილი ინგლისის ნაკრებმა მოიპოვა, თუმცა იგი სხვა მოწინავე მონაწილეთა უმეტესობისგან რაიმე ნათელი მონაცემებით არ განსხვავდებოდა.

რაღა შორს წავიდეთ, ჩვენს თვალწინ ზაბჟეს „გურნიკმა" სწორედ ჭკვიანური თამაშის მეოხებით მოუგო კიევის „დინამოს".

რაღა უნდა ითქვას სხვებზე, როცა დაამარცხეს ჩვენი მოწინავე გუნდი, რომელსაც ნოვატორად მივიჩნევდით? ეს იმის მაჩვენებელია, რომ ზოგიერთმა რამ ჩვენში არსებული ფორმალური თამაშიდან კიეველებს გონება დაუბნელა. სწორედ ამ მდგომარეობამ შეუშალა მათ ხელი სრულად გამოევლინათ თავიანთი შესანიშნავი ნიჭი, უნარი და ენერგია.

უსიამოვნო წარმოსადგენია, რომ ჩვენში დარჩნენ გუნდები, რომლებსაც ჯერ კიდევ არ გაუხდიათ „სხვათა ტანსაცმელი". ასეთები ცოტაა, მაგრამ მაინც არიან.

ჩვენ გვესმის და თანავუგრძნობთ იმ გულშემატკივარს, რომელიც თბილისის „დინამოს" სტადიონის ტრიბუნიდან ამას წინათ გაგულისებული ყვიროდა: „ითამაშეთ ფეხბურთი!" დიახ, ფეხბურთელებმა უნდა შემოქმედებითად ითამაშონ ფეხბურთი და არ იყვნენ სხვათა ბრმა მიმბაძველები.

ერთ-ერთი ჩვენი მოწინავე მწვრთნელი ამას წინათ ამბობდა, რომ უცხოეთის საუკეთესო გუნდების მოთამაშეებს შესწევთ უნარი დამოუკიდებლად, მინდორზე შექმნილი მდგომარეობის შესაბამისად ცვალონ ტაქტიკა და რომ ასეთ მოთამაშეთა რაოდენობა ჩვენში ცალი ხელის თითებზეა ჩამოსათვლელი. ვფიქრობთ, მოაზროვნე მოთამაშეთა რიცხვი ჩვენში ბევრად მეტია, მაგრამ, რასაკვირველია, მაინც უკმარი გახლავთ.

ან საიდან უნდა იყვნენ ისინი? ასეთი მოთამაშეები რომ გვყავდეს, უფრო მეტად უნდა განავითარო მათი ტაქტიკური აზროვნება, ნაკლებად იფიქრო მათ მაგივრად და არავითარ შემთხვევაში არ მოახვიო თავს ტაქტიკური გეგმა, რომელსაც მათ ისევე უნდა მისდიონ, როგორც ტრამვაი მიჰყვება სამარშრუტო ლიანდაგს. განსაკუთრებით სასარგებლოა ასეთ აღზრდას შევუდგეთ ბავშვობიდანვე. თუ ასე დავსვამთ საკითხს, გაუგებარია, ვის მიმართ გამოთქვა პრეტენზია ზემოაღნიშნულმა მწვრთნელმა? მებაღე არ უნდა ელოდოს ნაყოფს იმ ხიდან, რომელიც მას არ დაურგავს, რომლისთვისაც არ მოუვლია.

განა ყველა მწვრთნელი ენდობა თავის მოთამაშეებს? დამრიგებელთა ნაწილს ღამით არ სძინავს, რათა თავის მოთამაშეებს მოუმზადოს შენიშვნების მთელი არსენალი, რეკომენდაციები და მითითებები, თუ როგორ უნდა ითამაშონ მათ და ამით ზღუდავენ შემოქმედებით იმპროვიზაციას. ჩვენი დროის ყველაზე გამოჩენილი ფეხბურთელები პელე, ეუსებიო და სხვანი კი სწორედ იმიტომ მიეკუთვნებიან უმაღლეს საფეხბურთო კლასს, რომ შემოქმედებითად და გააზრებულად თამაშობენ.

ან აიღეთ წარსულის ფეხბურთელები (არ ვლაპარაკობ ახლანდელებზე) მ. იაკუშინი და მ. ბერძენიშვილი. თითქოს, მათ არ ჰქონდათ ბრწყინვალე ტექნიკა, მაგრამ ორივენი უმაღლესი კლასის სპორტსმენები იყვნენ თავიანთი ჭკვიანური თამაშის მეოხებით. ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ჭკვიანი ფეხბურთელები მათ გარდა არ იყვნენ. ასეთები საკმაოდ იყვნენ, მაგრამ მოვიყვანთ ასეთ ნათელ მაგალითს: მ. ბერძენიშვილს არ ჰქონდა ყუმბარისებური დარტყმა, მისი თერთმეტმეტრიანი კი თითქმის აუღებელი იყო. რამდენჯერ გვინახავს, როგორი კისრისტეხით ხტებოდა მეკარე ერთ კუთხეში და გართხმული იწვა მიწაზე, ბურთი კი საწინააღმდეგო კუთხეში მიგორავდა.

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად გვინდა დავუმატოთ, რომ მოთამაშეთა ფიზიკური მომზადებისა და ბურთის ფლობის ტექნიკის შეუფასებლობა არ შეიძლება. ამ ორივე უმნიშვნელოვანესი ფაქტორის ხარისხი უნდა ავამაღლოთ ყოველდღიური მეცადინეობით. ასეც იქცევიან ყველგან და სწორედ ამიტომაც მოხდა შედარებითი გატოლება.

ვინც სუსტი იყო ამ კომპონენტებში — წამოიწია, მაგრამ ვინც მიაღწია გარკვეულ სიმაღლეებს, შემდგომი დაწინაურება და შორს წასვლა აღარ შეუძლია. უმაღლეს დონეზე თითქმის შეუძლებელია ამის გაკეთება და ისიც მაშინ, როცა ნეტოქეები კვალში მოგდევენ.

ამ მდგომარეობამ გამოიწვია სხვადასხვა ტაქტიკური სისტემისა და ვარიანტის ძიების აუცილებლობა. საკმაოდ ხშირად ჩნდებოდა ტაქტიკური სიახლეები, დაიწყო იდეების შეჯიბრება და იგი გამოიხატება არა მარტო მოთამაშეთა მინდორზე რაოდენობრივი განლაგების მრავალფეროვნებაში, არამედ მათი თამაშის ფუნქციების ახალ ხარისხობრივ შინაარსშიც. მოთამაშე იკავებს მცველის ადგილს და ამავე დროს კი ასრულებს თავდამსხმელის საპასუხისმგებლო ფუნქციებს და ა. შ.

მწვრთნელები შეუდგნენ ფსიქოლოგიური ხასიათის საკითხთა გადაჭრას. ბრაზილიის გუნდში ფსიქოლოგი ექიმის თანამდებობაც დააწესეს. ვგონებ, ჩვენს ნაკრებშიც მუშაობს ასეთი სპეციალისტი.

მაგრამ ახლა განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება თამაშის მიმდინარეობის სისწრაფეს. როცა თამაში ძალიან სწრაფად წარმოებს, იგი აუცილებლად შინაარსიანი, საინტერესო და ამაღელვებელი იქნება.

ჩქაროსნული ფეხბურთის შექმნაში განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობს სპორტსმენთა გადანაცვლება, მათი რბენის სისწრაფე. რბენაში უპირატესობა მოთამაშეებს საშუალებას აძლევს დაასწრონ თავიანთ მეტოქეებს მოქმედებისას, უფრო სწრაფად გადავიდნენ შეტევიდან დაცვაზე და ჰქონდეთ მოთამაშეთა რიცხობრივი უპირატესობა საპასუხისმგებლო ადგილებზე. ეს პატარა კოზირი როდია და ბრძოლის ამ საშუალებას საკმაოდ ხშირად მიმართავენ.

შეხედეთ მსოფლიო ფეხბურთის საუკეთესო წარმომადგენლების, იმავე პელესა და ეუსებიოს თამაშს. მათ ხომ სწორედ ეს ელვისებური მოძრაობა ახასიათებთ!

როცა ჩვენს მოწინააღმდეგეებს მხოლოდ ერთი სწრაფი მოთამაშე ჰყავთ, აქ უნდა ფხიზლად იყო. როცა ასეთთა რაოდენობა ორია, ელოდე საფრთხეს, მაგრამ თუ სწრაფი მოთამაშე სამია (რასაც ჯერ იშვიათად ვხვდებით), კატასტროფის წინაშე ხარ.

როგორ უხარიათ მაყურებლებს, როცა მათს გუნდში არიან სწრაფი გარღვევის შემძლე მოთამაშეები, მაგრამ რა შეშფოთებაა, როცა ასეთები მოწინააღმდეგეს ჰყავს! ყოველი გარღვევისას პირდაპირ სუნთქვა გეკვრება კაცს.

რბენის სრულყოფას ფეხბურთელებთან საწვრთნელ მუშაობაში თითქოს საპატიო ადგილი უნდა ეკავოს, მაგრამ ასე არ ხდება. უმეტესად ბუნებრივი მონაცემების იმედით არიან. მართალია, ვარჯიშის დროს მიმართავენ მცირეხნიან ბიძგებსა და გარბენებს, მაგრამ ეს ამინდს ვერ ქმნის და, გარდა ამისა, მათი მიზანია მოთამაშეთა ფიზიკური მოთელვა.

მაგრამ თავიდან რომ ავიცილოთ ის ზედმეტი მოძრაობანი, რომლებსაც ფეხბურთელი აკეთებს რბენის დროს, მოიმატებდა სისწრაფე, საჭირო ენერგია ნაკლებად დაიხარჯებოდა და მოთამაშეები სხვა სარგებელს მიიღებდნენ.

რატომ ხდება ასე? რატომ ვტოვებთ ამ მნიშვნელოვან ფაქტორს უყურადღებოდ? შეიძლება ჩვენ არ გვსურს გამოვიჩინოთ სარისკო ინიციატივა და ძველი ჩვეულების ძალით ვუცდით, რომ ყველაფერი უცხოეთიდან შემოვიდეს? არა. ვფიქრობთ, ახლა ასე აღარ უნდა მოხდეს.

ფეხბურთელის რბენას დიდი ხანია მძლეოსნობის ელემენტებს მიაკუთვნებენ და სასწავლო გეგმებშიც დამხმარე სახეობებში უთმობენ ადგილს. ამიტომაა იგი მეორე პლანზე დღემდე. სწორედ ეს გარემოება იწვევს იმას, რომ ცალკეულ შემთხვევებში, რბენაში მეცადინეობისას, იწვევენ მძლეოსნობის მწვრთნელს, ისიც გარკვეული დროით და მოსამზადებელ პერიოდში საათების მინიმუმს უთმობენ. და ეს მაშინ, როცა რბენა უნდა ჩაითვალოს საფეხბურთო ტექნიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტად და მისი სისტემატური სრულყოფა ფეხბურთის მწვრთნელის გადაუდებელ მოვალეობას წარმოადგენს.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ფეხბურთელის რბენას მთელი რიგი სპეციფიკურობანი გააჩნია. ეს იქნება სიგნალი მოქმედების დაწყებისთვის, რომელიც ხდება არა სმენითი გაღიზიანებით მესტარტის გასროლაზე, არამედ მხედველობითი გაღიზიანებით თამაშის მდგომარეობაზე. გარდა ამისა, ფეხბურთელები სტარტს იღებენ არა მარტო წინ, როგორც მორბენლები, არამედ სხვადასხვა მიმართულებითაც. ეს ხდება ადგილიდანაც, მოძრაობის დროსაც. არის კიდევ სხვა თავისებურებებიც.

დადგენილია, რომ მოკლე მანძილებზე მორბენლები უმაღლეს სისწრაფეს აღწევენ 30-33 მეტრის გარბენის შემდეგ. ამ სტადიას ასეც ეწოდება — სისწრაფის განვითარების სტადია. გამოდის, რომ ფეხბურთელები თამაშის მსვლელობაში ვერ აღწევენ თავიანთ მაქსიმალურ სისწრაფეს, ვინაიდან მათი ცალკეული გარბენები 30 მეტრზე ნაკლებია.

არც ის უნდა გამოვუშვათ მხედველობიდან, რომ სპრინტერები დაბალ სტარტს მიმართავენ, რომელიც აადვილებს სისწრაფის განვითარებას და გასარბენი მანძილის დაახლოებით ერთ მეტრს იგებს. ეს პრივილეგია ფეხბურთელებს არა აქვთ.

ვინ გაერკვევა ყველაზე უკეთ ამ ამბებში, თუ არა ფეხბურთის მწვრთნელი? სრულფასოვანი, ჭკვიანური, სწრაფი ფეხბურთი — ესაა ჩვენი ექსპანსიური ახალგაზრდობის სტიქია. მის დიდ წარმატებებში ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ. ამიტომ ნურც ამ კეთილნაყოფიერ დროს დავკარგავთ.

**ა. გალპერინი,**
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

**ბ. პაიჭაძე,**
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

სსრ კავშირის ჩემპიონატები კალათბურთში

## ორი ლიდერი

კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის გუშინწინდელი მატჩების შემდეგ ცხრილს სათავეში მოექცა ორი გუნდი: თბილისის „დინამო" და კიევის ასკ. კიეველებმა თავიანთ მოედანზე განმეორებითი შეხვედრა მოუგეს ტარტუს „კალევს" — 69:61 (41:32).

ბაქოში ადგილობრივი „ბურევესტნიკის" სპორტსმენებმა რიგის არმიელებთან რევანში აიღეს წინადღით დამარცხებისთვის — 92:87 (46:44).

დღეს და ხვალ თბილისის დინამოელები მოსკოვში ორ მატჩს გამართავენ ცსკა-ს კალათბურთელებთან.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 14 აპრილისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (თბილისი) | 38 | 27 | 11 | 2826—2633 | 27 |
| ასკ (კიევი) | 41 | 27 | 14 | 2866—2698 | 27 |
| ცსკა | 40 | 25 | 15 | 2644—2502 | 25 |
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 38 | 24 | 14 | 2753—2661 | 24 |
| „სტროიტელი" (კიევი) | 40 | 23 | 17 | 2629—2575 | 23 |
| „კალევი" (ტარტუ) | 40 | 20 | 20 | 2658—2592 | 20 |
| ასკ (რიგა) | 42 | 19 | 23 | 3065—3064 | 19 |
| ვეფ (რიგა) | 38 | 19 | 19 | 2653—2656 | 19 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 37 | 18 | 19 | 2464—2416 | 18 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 36 | 18 | 18 | 2520—2486 | 18 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 40 | 8 | 32 | 2741—3109 | 8 |
| „ბურევესტნიკი" (ბაქო) | 40 | 8 | 32 | 2968—3416 | 8 |

## ტურნირის დამთავრებამდე...

კაუნასი, 12 აპრილი. მოსკოვის ოლქის „სპარტაკმა" დაამარცხა ნოვოსიბირსკის „დინამო" — 67:60 (37:28). გამარჯვებულები ვერცხლის მედლებს მიიღებენ: ოქროს მედლები, როგორც ცნობილია, რიგის ტტტ-ს კალათბურთელმა ქალებმა დაისაკუთრეს.

ამრიგად, შეჯიბრების დამთავრებამდე ორი ტურით ადრე ცნობილი გახდა ორი პრიზიორისა და აუტსაიდერის ვინაობა: უმაღლეს ლიგას დატოვებს ტაშკენტის „ტექსტილმაში".

ბრინჯაოს მედლებზე პრეტენზიას აცხადებენ ლენინგრადის „ბურევესტნიკი", ვილნიუსის „კიბირკშტისი", მოსკოვის „დინამო" და სვერდლოვსკის „ურალმაში" — 12-12 ქულა. ამ გუნდების შანსები გათანაბრდა მას შემდეგ, რაც ლენინგრადის „ბურევესტნიკმა" დამატებით დროში წააგო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელებთან — 47:52 (27:23, 41:41).

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „დინამო" (მოსკოვი) — „ტექსტილმაში" (ტაშკენტი) 83:57 (43:18), ასკ (ლენინგრადი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 55:64 (28:28), ტტტ (რიგა) — „კიბირკშტისი" (ვილნიუსი) 57:43 (27:26).

სსრ კავშირის თასზე

## დამატებით დროში

რუსთავი (ტელეფონით). 12 აპრილს აქ გაიმართა მატჩი სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში ადგილობრივ „მეტალურგსა" და ნახიჭევანის „არაზს" შორის.

თამაშის ძირითადი დრო დამთავრდა უშედეგოდ — 0:0. დამატებით დროში ჰანტურიამ შეძლო გადამწყვეტი ბურთის გატანა, რომელმაც გამარჯვება მოუტანა „მეტალურგს" — 1:0.

**რ. გაბრიჭიძე,**
(ჩვენი კორ.).



პორტუგალიის ნაკრებისა და ლისაბონის „ბენფიკის" ცენტრალური თავდამსხმელი, განთქმული ზანგი ფეხბურთელი ეუსებიო გამოირჩევა სწრაფი, ტემპიანი თამაშით, იშვიათი მოსაზრებულობით და ზუსტი დამამთავრებელი დარტყმით. ჩვენს სურათზე ეუსებიო (იგი მუქ მაისურშია) ნაჩვენებია მსოფლიო ჩემპიონატის მატჩში კორეელებთან. მას ძლიერი დარტყმით გააქვს მესამე ბურთი მოწინააღმდეგის კარში.

# სოჭში საქართველოს რეკორდებით

„სპორტის დედოფლის“ წლევანდელი შეჯიბრებების კალენდარი უჩვეულოდ მდიდარია: სსრ კავშირის ნაკრებს მეხიკოს ოლიმპიადამდე რამდენიმე გამოცდა ელის უმაღლეს დონეზე. „თამაშგარე“ არც მომავალი თაობაა დარჩენილი — უფროსი და საშუალო ასაკის მოზარდებს ფრანგ თანატოლებთან მატჩის შემდეგ ევროპის პირველობაში მოუწევთ მონაწილეობა, საამისო სამზადისი კი ჩვენს ქვეყანაში, კარგა ხანია დაიწყო.

მზადების ერთი ეტაპი ამას წინათ სოჭში მოეწყო. აქ საასპარეზოდ თავი მოიყარა ორივე ასაკის 500-მდე მძლეოსანმა, რომელთა შორის საქართველოს წარმომადგენლებიც იყვნენ. ჩვენმა რესპუბლიკამ სოჭში შედარებით ძლიერი სპორტსმენები გაგზავნა და მათგან ბევრმა კარგადაც ჩააბარა გამოცდა. მოსწავლეთა შარშანდელი საკავშირო სპარტაკიადის პრიზიორებმა ა. მოშიაშვილმა, ნ. ზვიადაურმა და ე. გაფრინდაშვილმა პირველობა მოიპოვეს. შუბის მტყორცნელმა ზვიადაურმა უფროსი ასაკის ჭაბუკთა შორის საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა — 68,12 მ. ეს შედეგი 31 სანტიმეტრით სჯობს მისსავე ამასწინანდელ მიღწევას. ამ ასაკის ჯგუფში 110 მეტრზე თარჯრბენი მოიგო მოშიაშვილმა — 15,1 წამი.

საშუალო ასაკის ჭაბუკებიდან უროს ტყორცნაში ყველას აჯობა ე. გაფრინდაშვილმა — 58,04 მ. რვაჭიდში კარგად გამოვიდა თ. გოგიბერიძე. მართალია, მან საბოლოოდ V ადგილი დაიკავა, მაგრამ 148 ქულით გააუმჯობესა საქართველოს მოსწავლეთა რეკორდი (4084 ქულა), რომელიც მასვე ეკუთვნოდა. საშუალო ასაკის მოსწავლეთა ახალი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა III ადგილზე გასულმა შუბის მტყორცნელმა ა. ოგანეზოვმაც — 60,62 მ. ეს შედეგი 1,76 მეტრით აღემატება შარშანწინ ი. წიკლაურის მიერ ნაჩვენებ მიღწევას.

კარგი შთაბეჭდილება დატოვეს, აგრეთვე, სიმაღლეზე მხტომელმა ვ. უზმორსკიმ (185 სმ — V ადგილი) და ბადროს მტყორცნელმა თ. ბლიაძემ (41,92 მ — VI). ლ. ზგონიკოვამ 80 მეტრზე თარჯრბენში პირადი რეკორდი (11,7 წამი) გააუმჯობესა, რამაც მას V ადგილი მოუპოვა. გ. ბერაიამ III ადგილი დაიკავა ბადროს ტყორცნაში (41,62 მ) და სხვ.

მეტისმეტად უხეიროდ გამოვიდა გაგრელი ვ. მუსელემიანი, რომელმაც ვერც სიგრძეზე ხტომასა და ვერც სამხტომში ვერ მიიღო ჩათვლა. ათჭიდში წარუმატებლად იასპარეზა ა. ტყემალაძემ.

ნ. ბიბილაშვილი.

„ა“ ჯგუფი II ჯგუფი

სსრ კავშირის პირველობა

## კრომბრესის გზაზე

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 12 აპრილი.

„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ზენიტი“ (იჟევსკი) 3:0 (0:0).

„ლოკომოტივი“: გრძელიშვილი, მირიანაშვილი, ონიანი, ფრიდმანი, გეგეჭკორი, ძაგანია, შხვაცაბაია, ჭელიძე, მიქაშავიძე (გვასალია), მაზიაშვილი, მელიქიძე (მესხიძე).

„ზენიტი“: კუზნეცოვი, ბელინკოვი, შუვაევი, პეტუხოვი, სალკოვი, ტროფიმოვი, კოსტილევი, ბეხტენევი, მანშინი, მარკოვი (ჩეპნოშევი), ლარიონოვი.

მსაჯი ტ. ბახრამოვი (ბაქო).

დუბლიორები — 5:1 „ზენიტის“ სასარგებლოდ.

კმაყოფილების გრძნობით აღვნიშნავთ, რომ თბილისის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა თამაშში აშკარა პროგრესი შეიმჩნევა. ახლა, გათამაშების სტარტზე, გუნდში იგრძნობა მონოლითურობა, შეთამაშება, კარგი ბრძოლისუნარიანობა, სწრაფვა გამარჯვებისადმი. ყველაფერი ეს შესამჩნევი იყო განვლილ მატჩში იჟევსკის „ზენიტთან“, განსაკუთრებით თამაშის მეორე ნახევარში.

ჯერ კიდევ დასაწყისში, დაახლოებით 15 წუთის განმავლობაში თბილისელებმა მოწინააღმდეგის კართან ზედიზედ შექმნეს ბურთის გატანის რეალური მომენტები, რამაც გუნდს თავის ძალებში დარწმუნებული თამაშის საშუალება მისცა. მაზიაშვილს, მიქაშავიძეს, ჭელიძეს შეეძლოთ გოლების ანგარიში ადრევე დაეწყოთ, მაგრამ ამას ხელი შეუშალა არაზუსტმა დარტყმებმა.

ლოკომოტიველთა უპირატესობის რეალიზაცია მოხდა მხოლოდ შესვენების შემდეგ. 51-ე წუთზე ჭელიძე ზედ პირით ხაზზე გავიდა და ძნელი მდგომარეობიდან დაარტყა კარში, სადაც, ყოველი შემთხვევისთვის, ბურთთან ერთად კარში შევიდა მიქაშავიძეც — 1:0.

მართალია, მცირე ხნით, მაგრამ ამ პერიოდში ბრძოლას მძაფრი ხასიათი მიეცა და მეკარე გრძელიშვილს ძალზე ძნელი ბურთის აღება მოუხდა პეტუხოვისაგან, შემდეგში კი თბილისელებმა ისევ თავიანთ სასარგებლოდ წარმართეს თამაში, ფორვარდებთან ერთად შეტევაზე გადაიყვანეს ნახევარმცველებიც და მატჩის დასასრულისთვის ანგარიშს მისცეს ამ უპირატესობის შესაბამისი ფორმები: ჯერ ჭელიძის მიერ წამოწყებული იერიში ზუსტი დარტყმით დაამთავრა ძაგანიამ, ხოლო 89-ე წუთზე მაზიაშვილმა მესამე ბურთი გაგზავნა „ზენიტის“ კარში — 3:0.

რ. ძორიძე.

## გამოასწორეს თამაში

ბათუმი. „დინამოს“ სტადიონი. 12 აპრილი.

„დინამო“ (ბათუმი) — „ლოკომოტივი“ (ჩელიაბინსკი) 2:1 (1:1).

„დინამო“: კვახაძე, დიმანოვი, ხაბიბულინი (რ. გაგუა), სირბილაძე, გიორგიადი, ილურიძე, ქორიძე, კვიტაიშვილი, გიორგაძე, ოვანესიანი, მაისურაძე (ვერულიძე).

„ლოკომოტივი“. კუზნეცოვი, ზავიალოვი, იაკოვლევი, მარინოვი, პისკუნოვი, ალეევი, შუბინი, კონანოვი, მაქსიმენკო, ვასკოვსკი, ბრიაბრინი (კიმზიაკულოვი).

მსაჯი ბ. კასიმოვი (სუმგაითი).

დუბლიორები — 2:0 „ლოკომოტივის“ სასარგებლოდ.

ჩემპიონატის პირველ მატჩში სვერდლოვსკის „ურალმაშთან“ ბათუმელმა ფეხბურთელებმა ვერ დატოვეს მთლად სახარბიელო შთაბეჭდილება. მათ თამაშში მრავლად იყო შეცდომები, მაგრამ ისეთ ძლიერ და გამოცდილ გუნდთან, როგორიცაა ჩელიაბინსკის „ლოკომოტივი“, ბათუმელები გაცილებით უკეთ გამოიყურებოდნენ. ყველა რგოლი მოქმედებდა დიდი დატვირთვით, აქტიურად, ფეხბურთელები თამაშობდნენ სწრაფ ტემპში და მიუხედავად იმისა, რომ პირველი ბურთი სწორედ მასპინძელთა კარში იქნა გატანილი, მათ ეყოთ ძალები საიმისოდ, რომ გამოესწორებინათ მდგომარეობა და მიეღწიათ გამარჯვებისთვის.

გოლი ბათუმელთა კარში ასე გავიდა: შუბინმა საჯარიმო დარტყმიდან ჩააწოდა ბურთი მეტოქის კართან, აქ სწრაფად გავიდა ბრიაბრინი და გაიტანა გოლი — 1:0. სულ რამდენიმე წუთი არ იყო გასული ამ ეპიზოდიდან და მე-19 წუთზე ანგარიში გათანაბრდა. გიორგაძემ დაახლოებით 25 მეტრის მანძილიდან ძლიერად დაარტყა კარში. ძელიდან უკუგდებულ ბურთს მიუსწრო მაისურაძემ და კარში გაგზავნა იგი — 1:1.

ამის შემდეგ ინიციატივამ მთლიანად დინამოელთა მხარეს გადაინაცვლა. განსაკუთრებით შესამჩნევი იყო მათი უპირატესობა მეორე ტაიმში. ჩელიაბინსკელთა კართან მრავალი სახიფათო მომენტი შეიქმნა, მაგრამ გოლი კარგა ხანს არ ჩანდა. საბოლოოდ, ბათუმელთა გამარჯვების მისია თავის თავზე „აიღო“ ზავიალოვმა. მეტოქის ერთ-ერთი იერიშისას მან არაზუსტად ითამაშა და საკუთარ კარში გაიტანა ბურთი თავით.

ო. მურვანიძე.
(ტელეფონით ჩვენი კორ.).

## მინიმალური ანგარიშით

ტყიბული. „განთიადის“ სტადიონი. 12 აპრილი.

„მეშახტე“ (ტყიბული) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 0:1 (0:0).

„მეშახტე“ — ძიძიგური, ყანჩაველი, ჩუბინიძე, ლორთქიფანიძე, ჩიტიანი, გიორგობიანი, შარაშენიძე, ქარქაშაძე (ჯიშკარიანი), ამირანაშვილი, თოდიძე, აუშტროვი.

„ურალმაში“ — გოლუბევი, კირკულოვი, ფეოკტისტოვი, სანიკოვი, ო. პოგორელოვი, სესიუნინი, ვარბუზოვი (ყილკინი), ერიოხინი, ეპიშინი, ყოსი, ბოროდინი.

მსაჯი ნ. მამედზადე (კიროვაბადი).

დუბლიორები — 1:1.

ტყიბულელმა ფეხბურთელებმა თამაშის დაწყებისთანავე მაღალი ტემპი შესთავაზეს მეტოქეს. გამოწვევა მიღებულ იქნა და მაყურებლები საინტერესო ასპარეზობის მოწმენი გახდნენ. პირველი ტაიმის 25 წუთის განმავლობაში მასპინძლების თავდამსხმელებს რამდენჯერმე მიეცათ ანგარიშის გახსნის რეალური შესაძლებლობა, მაგრამ აუშტროვის, თოდიძისა და ქარქაშაძის დარტყმები უზუსტო იყო. მეორე ტაიმის მე-3 წუთზე სესიუნინმა დაარტყა, ბურთი ლორთქიფანიძეს მოხვდა და კარში გავიდა.

დარჩენილ დროში მასპინძლები ბევრს უტევდნენ, ანგარიშის გათანაბრების რამდენიმე შესაძლებლობაც ჰქონდათ, მაგრამ სვერდლოვსკელებმა შეძლეს კარის დაცვა.

ზ. ჯორჯაძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

# თეთრი ენდშპილი

ახალგაზრდა სამთომოთხილამურეთა საკავშირო პირად-გუნდური შეჯიბრების ენდშპილი სპეციალურ სლალომში ტურნირი გასლდათ, მაგრამ, ფაქტიურად, იგი დამოუკიდებელ პარტიად წარმოგვიდგა საკუთარი დებიუტით, მიტელშპილითა და ენდშპილით. ამ სახეობაში შეჯიბრება ისე გაიმართა, როგორც ბოლო წლებში საერთაშორისო სარბიელზე ეწყობა — გადამწყვეტი ბრძოლის მონაწილენი ნახევარფინალებმა შეარჩია.

შეჯიბრება საშუალო ასაკის გოგონებმა დაიწყეს. მათთვის 315 და 300-მეტრიან ტრასებზე 36 და 33 კარი იყო მოწყობილი. პირველსავე ცდაზე დაწინაურდა ო. ხუხლაევა (ცსკა), რომელმაც დისტანცია 34,2 წამში გაიარა. მასთან 1,3 წამი წააგო ლ. კონოპოლცევამ (ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ). მეორე ცდისას კონოპოლცევამ უფრო გაბედულად იარა და ლიდერს 1,2 წამი მოუგო, მაგრამ საბოლოოდ მაინც II ადგილს დაჯერდა. სხვები მათ საგრძნობლად ჩამორჩნენ.

ფინალში გამარჯვებისთვის მთავარი ბრძოლა თითქოს სწორედ კონოპოლცევასა და ხუხლაევას შორის უნდა გამართულიყო, მაგრამ ვარაუდი არ გამართლდა. ამ ჭიდილის შედეგებს ქვემოთ მოგახსენებთ, აქ კი აღვნიშნავთ, რომ მასპინძლებიდან საუკეთესომ — ნ. რატიანმა (საქართველოს განათლების სამინისტრო) 1.27,9 აჩვენა და XVIII ადგილით დაკმაყოფილდა.

შემდეგ სარბიელზე უფროსი ასაკის გოგონები გამოვიდნენ (ტრასა 335 და 325 მ, 46 და 35 კარი). საქართველოს განათლების სამინისტროს გუნდის წევრებმა ამჯერად უკეთესი შედეგები მოიპოვეს. ბაკურიანელმა სპორტის ოსტატმა მ. თვაურმა პირველი ცდისას მხოლოდ რიგელ ს. მიზონესთან (45,7) წააგო 0,3 წამი, მაგრამ მეორე ცდისას წინ კიდევ ოთხი მეტოქე გაუშვა და ნახევარფინალში მეექვსე შედეგი (1.44,1) აჩვენა. მისი თანაგუნდელები მ. წარიტოვა (2.06,2) და გ. ჯაფარიძე (2.19,8). მე-14 და 23-ე ადგილებზე გავიდნენ.

მეორე დღეს მოეწყო ჭაბუკთა ნახევარფინალური შეჯიბრებები. საშუალო ასაკის ჯგუფში (355 და 345 მ, 40 და 36 კარი) ბაშკირეთის წარმომადგენელი რ. ტაგიროვი (1.05,3) დაწინაურდა, მასპინძლებიდან კი ფინალში მხოლოდ ა. ნავერიანი (განათლების სამინისტრო) მოხვდა, რომელმაც 1.11,0 აჩვენა.

შემდეგ ტრასა 365 და 350 მეტრამდე გაზარდეს, კართა რიცხვი — 44-მდე და 40-მდე და სარბიელი უფროსი ასაკის ჭაბუკებს დაუთმეს. ყველაზე კარგი შედეგი (1.13,0) აჩვენა ჩუსოვოელმა მ. ლოგინოვმა, რომელმაც სამთო სამჭიდში დაწინაურებულ ბ. დომნენკოს („ბურევესტნიკი“) ზუსტად 1 წამით აჯობა. ფინალში ბრძოლის უფლება მოიპოვეს საქართველოს სპორტსმენებმა ლ. ხუბაევმა (1.18,6, X ადგილი) და ა. სტეფანიანმა (1.23,8, XX ადგილი).

ფინალური შეჯიბრებები. საშუალო ასაკის გოგონებისთვის ტრასის სიგრძე ამჯერად 320 და 330 მეტრი იყო. პირველ ტრასაზე 35, ხოლო მეორეზე 32 კარი დადგეს.

პირველი ცდა. როგორც მოსალოდნელი იყო, დაწინაურდა ხუხლაევა (38,0), II ადგილზე კი დინამოელმა ი. სოკოლოვამ გადაინაცვლა (მან 0,1 წამით წააგო ლიდერთან). კონოპოლცევას ლ. ნორტიკოვამაც („ლოკომოტივი“) გაასწრო — 38,3. ხუხლაევამ მეორე ცდაზეც კარგად იარა (38,1), საბოლოოდ 1.16,1 აჩვენა, რამაც საერთო ჩათვლაში დააწინაურა კიდეც, მაგრამ ბოლომდე ვერ შეინარჩუნა ლიდერობა. ტრასა სოკოლოვამ უფრო სწრაფად და უშეცდომოდ გაიარა, სპეციალურ სლალომში აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი (37,8) აჩვენა და I ადგილიც დაისაკუთრა — 1.15,9. კონოპოლცევა IV ადგილს დაჯერდა, მაგრამ როცა სამჭიდის შედეგები შეაჯამეს, მას აქ ყველაზე ნაკლები საჯარიმო ქულა აღმოაჩნდა და პირველობაც მიეკუთვნა.

უფროსი ასაკის ჯგუფში (330 და 325 მ, 40 და 35 კარი) კარგად გამოვიდა მ. თვაური. მეორე ცდაზე მან დღის საუკეთესო შედეგი (37,5) აჩვენა და სპეციალურ სლალომში საბოლოოდ II ადგილი დაიკავა — 1.19,3. პირველობა ს. მიზონემ მოიგო — 1.18,5. მესამე იყო ს. ისაკოვა („ტრუდი“) — 1.19,4. სამაგიეროდ, სამჭიდში პირველობა ისაკოვას დარჩა. მ. თვაური გიგანტურ სლალომში მე-14 ადგილზე იყო და ამიტომ სამჭიდში საპრიზო სამეულში ვერ მოხვდა. მიუხედავად ამისა, საქართველოს სპორტსმენებიდან ტურნირში ერთადერთმა თვაურმა მიაღწია კარგ შედეგს — 2 საპრიზო ადგილი მოიპოვა.

სხვა ტექნიკური შედეგები ასეთია: საშუალო ასაკის ჭაბუკები. ფინალი: I. ა. კუზნეცოვი (კაგგოლოვო) — 1.18,8, II. ნ. სურინი (ბაშკირეთის ასსრ) — 1.19,7, III. ნ. სნეგირიოვი (კიროვსკი) — 1.20,1. სამჭიდი: ს. ტროფიმოვი („დინამო“).

უფროსი ასაკის ჭაბუკები: I. ი. ცნიაგუნსი (რიგა) — 1.15,7, II. მ. ლოგინოვი — 1.16,0, III. გ. გალკინი („სპარტაკი“) — 1.16,6... VI. დ. თვაური (საქართველოს განათლების სამინისტრო) — 1.17,0; სამჭიდი: ბ. დომნენკო.

გუნდური შედეგები: I. „დინამო“ — 2.226,05 საჯარიმო ქულა, II. ჩუსოვო — 4.847,37, III. რიგა — 4.912.39... VII. საქართველოს განათლების სამინისტრო — 6.594,91... XXI. ბაკურიანის საშუალო სკოლა — 15.738,87.

ბორჯომის რაიონის ორგანიზაციებმა ტურნირში საუკეთესოებისთვის სპეციალური პრიზები დააწესეს. ბორჯომის რაიონის სპორტკავშირის პრიზი — „გოგონებში ყველაზე შედეგიან მონაწილეს“ — დაისაკუთრეს ლ. კონოპოლცევამ (საშუალო ასაკი) და ს. მიზონემ (უფროსი ასაკი); კომკავშირის ბორჯომის რაიკომის პრიზი — „ჭაბუკებში საუკეთესოს“ — გადაეცათ ა. კუზნეცოვს (საშუალო ასაკი) და ბ. დომნენკოს (უფროსი ასაკი); ბორჯომის მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხნის პრიზს — „ყველაზე ნორჩ მონაწილეს“ — დაეპატრონენ ლ. ნორტიკოვა და გ. ლომინაძე; ბორჯომის განათლების განყოფილების პრიზი — „საქართველოს გუნდის ყველაზე შედეგიან სპორტსმენს“ — გადაეცათ მ. თვაურსა და ლ. ხუბაევს.

ვ. მიქაბერიძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).
ბაკურიანი.

# „სინათლე“ ქალებს სინჯავს

თბილისის სპორტკლუბ „სინათლის“ ბაზებზე გრძელდება ქალაქის ტრანსპორტის სამმართველოს მუშა-მოსამსახურეთა X საგაზაფხულო სპარტაკიადა, რომლის გახსნაში საწარმოს შვიდივე საამქროსა და განყოფილების 300-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. სპარტაკიადის პროგრამაშია 11 სახეობა: კალათბურთი, ფრენბურთი, ჭადრაკი, შაში, ქართული ჭიდაობა, მძლეოსნობა, ძალოსნობა, ტყვიის სროლა, ცურვა და სხვ.

უკვე დამთავრდა ფრენბურთელთა და მაგიდის ჩოგბურთელთა შეჯიბრებები. ფრენბურთში ყველას აჯობეს ტროლეიბუსის 1-ლი დეპოს სპორტსმენებმა. II ადგილზე გავიდა ტროლეიბუსის მე-2 დეპოს გუნდი, III — ელექტროსაამქროს კოლექტივი.

მაგიდის ჩოგბურთში სპარტაკიადის ჩემპიონობა ვაგონშემკეთებელი საამქროს წარმომადგენლებს ხვდათ. ელექტროსაამქროს გუნდი ამჯერად II ადგილს დაჯერდა, ტრამვაის 1-ლი დეპოს სპორტსმენებმა კი III ადგილი მოიპოვეს. კარგად ჩაატარეს შეხვედრები ე. არჯევანიძემ, თ. ილიევმა და ლ. ჰანტურიამ.

მალე დამთავრდება კალათბურთელთა ტურნირი, რომელშიც უკვე გაიმართა რამდენიმე საინტერესო შეხვედრა.

შ. ძაჯაია.




## სხვა მატჩები

გაიმართა სხვა მატჩები „ა“ კლასის II ჯგუფის III ქვეჯგუფში:

„სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) „ტორპედო“ (ტაგანროგი) 1:0, „დინამო“ (მახაჩყალა) — „ზვეზდა“ (პერმი) 0:0, „ფოლადი“ (სუმგაითი) — „სტროიტელი“ (უფა) 2:1, „ვოლგა“ (ულიანოვსკი) — „სპარტაკი“ (იოშკარ-ოლა) 2:4, „ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი) — „ვოლგა“ (გორკი) 1:1, „ვოლგარი“ (ასტრახანი) — „რუბინი“ (ყაზანი) 0:0.



სურათზე: კალათბურთელ ვაჟთა გუნდების შეხვედრის მომენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 04031